



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №38

ჩაქვი

30 ივნისი 2017წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურისა და 2017 წლის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით (27.10.2015წ. N4346-ის), რომელიც ძალაში შედის 2017 წლის 1 ივლისიდან, ახლებურადაა წარმოდგენილი საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა სტატუსი და დასახელება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 125-ე მუხლის პირველი პუნქტი საჯარო დაწესებულებებს ავალდებულებს 2017 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყონ დაწესებულებებში არსებული თანამდებობების იერარქიულ რანგებში განაწილება, დასაქმებული პირების პროფესიულ საჯარო მოხელეებად გარდაქმნა, ან შესაბამისი ფუნქციების მქონე პირებთან შრომითი ხელშეკრულების ან ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში არსებული თანამდებობების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 30 ივნისის N33, N34, N35, N36, ბრძანებებით განისაზღვრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში დასაქმებული საჯარო მოსამსახურის თითოეული კატეგორიისთვის მიკუთვნებულ პირთა სია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 2017 წლის 23 ივნისის მიღებულ იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ N50 დადგენილება (ამოქმედდება 2017 წლის 01 ივლისიდან) რომლის თანახმადაც ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულს შეეცვალა სახელწოდება და ასევე ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურული ერთეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის სამდივნოს სახით. ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ახალი სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 121-ე მუხლის მე-5 პუნქტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 48-ე მუხლის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის N50 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურა და 2017 წლის საშტატო ნუსხა, თანახმად დანართისა.

2. ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის 2017 წლის 27 თებერვლის ბრძანება N08 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საშტატო ნუსხის (განრიგის) დამტკიცების შესახებ“.

3. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა საჯარო მოსამსახურეებზე კანონით დადგენილი წესით.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს რამაზ ბოლქვაძეს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი. ზუბალაშვილის ქ. N 30).

6. ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 01 ივლისიდან.



დავით გაბაიძე